

საინფორმაციო ბიულეტენი

DRI-ის საქმიანობა (ივლისი-სექტემბერი)

- DRI ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას პოლარიზაციის მიზანმიმართულ გაღრმავებაზე
- DRI პრემიერ მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს შეიმუშაოს ჯანდაცვის სფეროში არსებული დაფინანსების ერთნაირი მიდგომა
- ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მათი საქმიანობის შესწავლის შუალედური ანგარიში
- „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ შემომწირველები თანხას მხოლოდ თვის შუარიცხვებში სწირავენ
- დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საკანონმდებლო ორგანოს საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებები წარუდგინა
- აფხაზეთში ომის დაწყებიდან 30 წელი გავიდა
- DRI იმედგაცრუებულია ადამიანის უფლებათა სტრატეგიის დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის გარეშე დამტკიცებით
- DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების ერთი წლის შედეგებს აჯამებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

- ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციები
- ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტიურობის ანალიზი სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში
- 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეების სასამართლო მონიტორინგი
- ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ გაერთიანებაზე "კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო" დაკვირვების შედეგები

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- ევროკავშირის პირობების შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა სასულიერო მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა განახლოს
- 12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის
- 2021 წლის 5 და 6 ივლისის მასშტაბური ძალადობის ორგანიზატორთა გამოვლენა და დასჯა ხელისუფლების პასუხისმგებლობა
- სამოქალაქო საზოგადოების ხედვა და რეკომენდაციები წარსულის გაზრებისა და წდობის აღდგენის შესაძლებლობების შესახებ
- პეტიცია - „შინ ევროპაში“ კამპანიის ფარგლებში აქტივისტებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები თავს დაესხნენ
- ხელმოწერილი ორგანიზაციები ადასტურებენ მზაობას, ჩაერთონ ევროკომისიის რეკომენდაციების დროული და სრულყოფილი შესრულების პროცესში
- სამოქალაქო საზოგადოების წერილი კარლ შარცელს
- კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის ავგისტოს ომის ხსოვნისადმი მიძღვნილ კამპანიას იწყებს
- სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება სასამართლო ხელისუფლებაში სისტემური კორუფციის ნიშნებზე
- მმართველმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს ISFED-ის ჩართულობა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში
- სამოქალაქო სექტორი სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს
- "თანაგრძნობას ვუცხადებთ ორივე მხარეს" – სამოქალაქო საზოგადოება აფხაზეთის ომზე
- შემამოთხებელია ჩრდილოეთ კავკასიელების მიმართ საზღვარზე შემომწმების სავარაუდო დისკრიმინაციული მიდგომა



DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების ერთი წლის შედეგებს აჯამებს

5 ოქტომბერს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობაზე ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვების შედეგების პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის ფარგლებში DRI-მ წარმოადგინა ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე და პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ საქმიანობაზე დაკვირვების შედეგები, 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეების სასამართლო მონიტორინგის ანგარიში და ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტიურობის ანალიზი სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში.

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის წდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.